

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ზაზათი გამოდის ქოველ კვირა ღღეს

№ 34

ა ბ ვ ი ს ტ ო 22 1899 წ.

№ 34

შინაარსი: მსოფლიო გამოფენა პარიუში ი. კაკაბაძისა. — სხვა და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენცია. — * * * ღღესი ი. ევდოშვილისა. — ჩვენი მწერლობის წერილობანები (დასასრული) ნ. ელიაშვილი. — ღღესი წერილი ქართველ ფარმაცევტა მიმართ ქართველი ფარმაცევტისა. — მრეწველობა იაპონიაში. — ფაბრიკები იაპონიაში. — პასუხის პასუხი ი. გ. გომართელისა. — ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა (დასასრული) ფ. პატროშვილისა. — და პასუხი თ. ნ. თავდგირიძეს

რედაქციის ადრესი: არცილეროის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

მსოფლიო გამოფენა პარიუში.

მზის ამოსვლასავეთ ელის მთელი ქვეყანა პარიუის გამოფენას, მის გახსნას. პატარიდან ღღესამდის და ღღესამდის მდიღრამდის ყველა იქით იხედება, იქით აქეს მიპყრობილი თვალი და გონება. იქიდან მოეღლის ყოველი კაცი და ქალი განთიადს, რომელიც შორს მიღვარდნილ ბნელ კუთხეებშია ცა შეაშუქებს და ძველი-მოახვესებული ცხოვრების განახლებას შეუღდება. ყველა უსაცილოთ დარწმუნებულია, რომ ეს მსოფლიო გამოფენა შეადგენს აქამდის კაცობრიობისაგან გავლილ ცხოვრების ჯამს, გვაჩვენებს ხალხის ნაშრომის ოკენეს, მის ფიზიკურ და გონებრივ ნამოქმედარს და ამნაირათ თავს დაუუკრავთ, გამოვესალმებრთ მე-XIX საუკუნეს, — გადავალთ მე-XX საუკუნეში ახალი შთაბეჭდილებით, ახალი მოთხოვნისებრთ და შეედგებით ახალ ცხოვრების საფუძველზე.

შესანიშნავი სისწრაფით შენდება გამოფენისათვის უზარმაზარი შენობები, სარაიები, კეთდება ხიდები, გზები; იმართება მიწერ-მოწერა სხვა-

და-სხვა ქვეყნებთა შორის ზოგიერთი პირობების გამოსარკვევათ. ყოველი კუთხე, ყოველი სახელმწიფო ცდილობს ამ გამოფენაში აქტიური მონაწილეობის მიღებას. მთავრობა ან რომელიმე დაწესებულება ხელს უწყობს, შეღავათს აძლევს თავის ვაქარ მრეწველთ, რომ იქ — პარიუში თავის ნაწარმოებთა ნიმუში წაიღონ, გამოაპნონ. ყველას რწამს, რომ იქ წასვლა, ნიმუშებს წაღება, მოძრაობაზე თვალის გადაღება გაუღებს ღღესამდის დაკეტილ კარებს და ახალ გზაზე დადგომის საშუალება მიეცემა. რწამს ეს იმიუთმ უფრო, რომ გამოფენა საფრანგეთში, ფრანგთა ხელით და გეგმით შენდება. იგივე მსოფლიო გამოფენა, რომ ბერლინში, ვენაში, ღღესამდის ან პეტერბურღში გავმართათ, მას მაშინ ასე ძლიერ მიმზიდველი ძალა არ ექნებოდა. ყველა თავის თავს რამდენიმეჯერ შეეკითხებოდა, რა იქნება იქ კარგო. მაგრამ, როცა ვიცით, რომ ის პარიუში ფრანგთა განკარგულების ქვეშ უნდა აღიმართოს, ჩვენც, მხოლოთ ერთათ ერთი სურვილი გვიღვივდება გულში: წავიდეთ, მონაწილეობა მივიღოთ, ხელოვნუროთ ამართული მთელი ქვეყნიერება ენახოთ. და უნდა გულ-ახლი-

ლათ ეთქვათ, რომ ეს დიდებული სურვილია იმისათვის ვისაც კი მომავალი აინტერესებს.

ყოველი ქვეყანა, კაცი, ქალი მუშაობს, ოფისს ღვრის იქ წასასვლელათ გამოეწყოს, გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს. მაგრამ პარიჟი და პარიჟელინი კი სხვა ბევრ-გვარ კითხვებისათვისაც იღვწიან; თითქმის, არც კი ახსოვთ, რომ მსოფლიო გამოფენა დღეს თუ ხვალ უნდა გახსნან, სტუმრები მიიღონ, კარგათ დაუხვდენ და სხვ... მათი აზრი, მათი ყურადღება უმთავრესათ შეპყრობილია დრეიფტის პროცესით, ამ პროცესს დროს წარმომდგარი შემთხვევების გამორკვევით. ჯერ ეს აღვლევებს და აბოპქრებს ფრანგთა ცხოვრებას, ეს ამწვაებს კლასიურ ბრძოლას, ამის გარშემო ღვრიან სისხლს, ზოგიერთნი იმიტომ რომ ქვეშარიტება ფეხ-ქვეშ გასრისონ და გამეფონ თავისი მკ—უსამართლობა, ზოგიერთნი იბრძვიან, რომ საქმეს ძირი მოუხანონ, განხრიკონ, გაარკვიონ მისი თვისება და მისი ნამდვილი სახე ხალხს წინ დაუყენონ, ქვეშარიტება ფეხზე დააყენონ. ასეთ ღელვაშია დღეს საფრანგეთი და მას გამოფენისათვის მთლათ ვერ მოუცლია ჯერ. აწნაირ მოძრაობა—ღელვაში გაიხსნება უთუოთ პარიჟის გამოფენა, მაშ შეგვიძლია ეთქვათ, რომ 1900 წ. გამოფენის შესავალს დღევანდელი მოძრაობა და ღელვა ასურათებს; გამოფენას წინ მიუძღვის ფრანგთა ისტორიული მოწინაობა, რომელიც შფოთავს იმისთვის რომ ნათელი მოჰფინოს მთლათ ქვეყნიერებას.

ამ გამოფენის პირდაპირი მიზანი ხალხის ნაწარმოებთა გამოფენაა, რომელსაც მთლათ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია გამოჰფენს. ამ სახით ცდილობს ერთიც და მეორეც თავის ნაწარმოების ბაზრის მოპოებას, გაფართოებას, მხმარებლების შეძენას. ეს გარემოება აკავშირებს ერთი ქვეყნის ბურჟუაზიას მეორესთან, აცნობს ერთმანეთს, მაგრამ ამავე დროს ჰბადებს მათ შორის მეტ ცილობას, მეტ ბრძოლას, ბაზრის მოსაპოებლათ. აი, ამ ნივთთა ოკეანეში პოულობენ ადგილს ხალხის მმართველნი დწარმომადგენელნიც. ესენი შეხედებიან აქ გარეშ ქვეყნელებს და ჩამოაგდებენ საუბარს ხალხთა შორის მშვიდობიანობაზე, მისცემენ ერთმანეთს სიტყვას, რომ მშვიდობიანობა დაიცვან, რომ სახე ღმწიფოთა შორის ომი არ გაჩაღდეს, რომელიც კი შეაყენებს, შესუსტებს მრეწველობა გაჭრობის მიმდინარეობას. ერთი სიტყვით, აღთქმას დასდებენ, რომ ხელი შეუწყონ წმრეველობა-ვაჭრობას.

აქ მოიყრიან თავს მეცნიერნი და თავის სამეცნიერო დასკვნებს მთელ ქვეყანას თვალწინ გადაუშლიან. აღწუხნავენ უკანასკნელ სამეცნიერო გზას, მის შინაარსს და შემდეგ ერთმანეთს გამოეცალმებიან.

აქ სხვა და სხვა პარტიები შეასწორებენ თავის სამოქმედო პროგრამებს, გამოარცხავენ შეცდომებს, დაუმატებენ ახალ მუხლებს, და მოქმედებას ახალი წესით და რიგით შეუდგებიან; ბურჟუაზია, დემოკრატია, მეცნიერნი, მუშები, ქალნი და კაცნი გამართვენ კონგრესებს, სადაც განიხილავენ ათას გვარ საინტერესო კითხვებს, რომელიც ყოველ ხალხს და ადამიანს შეეხება. ამნაირათ ამ ინტერნაციონალურ გამოფენიდან, რომელიც თავს მოუყრის მთლათ ქვეყნიერებას, დაიბადებიან ინტერნაციონალური პროგრამა—მიდრეკილებები. ქალთა კითხვა აქ გაირკვევა, აიხსნება მისი ხელის შემშლელი მიზეზები. სხვა და სხვა ქვეყნის ქალთა წარმომადგენელნი წამოაყენებენ იმ გარემოებას, რომელშიაც იმყოფებიან მისი ქვეყნის ქალნი. ამას გარდა, მუშათა წარმომადგენელნი წარმომადგენენ თავის მოქმედების ანგარიშს, მოგვითხრობენ საქმის მიმდინარეობას, მიგვითითებენ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, და მოითხოვენ შეთანხმებულათ მოქმედებას; ასე კიდევ სხვა წრის და პარტიის კაცნი და ქალნი მოიქცევიან. აი, ასეთი მოძრაობა და ცხოველ-მყოფელი მიმდინარეობა თუ ქართველსაც აინტერესებს ისიც აღარ ჩამორჩება უკან. ისიც მონაწილეობას მიიღებს ამ შესანიშნავ მსოფლიო გამოფენაში, არა მარტო ნაწარმოებ ნივთთა—არამედ იდეების გამოფენითაც.

ყველასათვის ცხადია, რომ ამ დიდებულ გამოფენას ცალმხრივი ხასიათი არა აქვს. იქ, სხვა და სხვა ქვეყნის ხალხი თავის ნაწარმოებ ნივთთა გარდა გვაჩვენებს თავის გონებრივ სიფართოვეს, თავის ზნეჩვეულებას, პოლიტიკურ წყობილებას და სხ... სხვა და სხვა წრის და ხელობის კაცი აქ იპოვის კმაყოფილებას. მისი გონება დაიტვირთება ათას გვარ შესანიშნავი სანახაევით. ის აქ თვალთ ნახავს მთელ ქვეყნიერებას, მთელ ქვეყნიერებაზე არსებული ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალების თავყრილობას, აქ ნახავს რალაც მოჩვენებითი თანხმობას და არა ნამდვილს. აქ ერთდა იმავე დროს შეიკრება სხვა და სხვა წრის შორის კავშირი და კიდევაც დაირღვევა, გაჩნდება განხეთქილება ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასთა შორის. ამიტომ პარიჟის გამოფენა, გამოჰფენს, თვალსაჩინოთ გახდის სხვა და სხვა ქვეყნებთა შორის დამოკიდებულე ას, ამავე დროს უფრო გამოარკვევს კლასიურ ანტაგონიზმს, რაც, ვინ იცის, როგორ ბოლოს მისცემს თვით გამოფენას! ასე მრავალ ფეროვანია მომავალი გამოფენის მნიშვნელობა, და სწორეთ სასურველია, რომ რაც შეიძლება მეტი მომზადებული პირი დაესწროს მას, რომ თითოეულმა იქიდან მეტი გონებრივი ტვირთი და მეტი კარგი თვისებები თან წაიღოს თავის ცხოვრების გასანათლებლათ.

ი. კაკაბაძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სახოგადო ბიბლიოტეკა 15 აგვისტომდის დაკეტილი იყო „პატარა რემონტისთვის“, მაგრამ არც 18 აგვისტოს გაუღიათ იმიტომ—რომ ბიბლიოტეკის გამგე ჯერ არ მოსულა და არც ვიცით როდის მოვაო. ამ შესანიშნავ განკარგულებას მიუმატეთ ისიც, რომ ბიბლიოტეკა თუ ოდესმე გააღეს, გააღებენ ნაშუადღევს 2 საათიდან 6 საათამდის. აი, ასეთი საუცხოო განკარგულება მოუხდენიათ თფილისის ბიბლიოტეკის ბედ-იღბლის მატარებლებს. მკითხველი და ბიბლიოტეკა სულაც არ ჰქონიათ სახეში, და სწორეთ იმ დროს აღებენ თავის მოწყალების კარებს, როცა თვითონ სადილნაჭამი განცხრომაში არიან. აი, ამას ეწოდება—საუცხოო განკარგულება! ..

ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ განუმარტა ქუთაისის გუბერნიის მარზის უფროსთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა კერძო კაცის მიწა იმიჯნება, მუშები ორმოების სათხრელათ, მიწის დასახელებლათ და სხ. და აგრეთვე ცხენ-ურემი, უნდა წარუდგინონ მიწის-მზომელთ გლეხებმა კი არა, არამედ გასამიჯნავ ანუ მოსაზღვრე მიწების პატრონებმა, წოდების განურჩევლათ, რომელნიც ამ მოვალეობის აუსრულებლობისათვის პასუხის გებაში მიეცემიან. ბევარის ასრულება გლეხთა მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ცალიერ და დაუსახლებელ სახელმწიფო მიწების გამიჯვნის დროს; ასეთ შემთხვევაში სამუშაოთ უნდა გამოვიდნენ გასამიჯნავ მიწების მომიჯნავე სოფლების გლეხები. რაც შეეხება ბინებს, ეს ბევრა უნდა მოიხადოს განურჩევლათ ყველა მცხოვრებმა გასამიჯნავ ანუ მომიჯნავე ადგილებისამ, ზოგიერთ კაცთა და დაწესებულებათა ვარდა. ბინები უნდა მიეცეთ მხოლოდ მიწის-მზომელთ და მათთან სამუშაოთ დანიშნულ კაცებს. მიწის მზომელთ უფლება არა აქვთ თავის არჩევით მოითხოვონ ბინა და იმით უნდა დაკმაყოფილდნენ რომელიც მიეცემა მათ ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით. ხოლო მათ ოჯახებს და აგრეთვე მათ მსახურთ კანონის ძალით არ ეძლევათ მუქთი ბინა. დასასრულ მიწის მზომელთ უფლება არ აქვთ უსასყიდლოთ მოითხოვონ შეშა, ანუ ლოგინი.

მთა-მადნის მუშათა განსაცდელისაგან უზრუნველ საყოფელათ, სამთო დეპარტამენტის ახლათ შემუშავებულ პროექტის ძალით, ყველა მთა მადნის პატრონები ელდებულნი არიან იყოლიონ მადნებში მუშათა რიცხვის შესაფერი მკურნალები და ფერშლები, და აგრეთვე იქონიონ აფთაპები და საავადმყოფოები. ამას გარდა, პროექტი საელდებულოთ ჰხდის

მუშათა სიცოცხლის დაზღვევას მათის ოჯახების უზრუნველ-საყოფელათ სიკვდილისა ანუ დეარდნის შემდეგ.

სოხუმის ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის გამგეობის მსახურთა შტატის შედგენისა, მათთვის ჯამაგირების დანიშნისა და აგრეთვე გაგეობის მოსაწყობათ 1,000 მანეთის გადადების შესახებ შეცვლილ იქმნა ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს-მიერ ამ რიგათ: ბუჰალტერს წლიურ ჯამაგირათ უნდა დაენიშნოს 900 მანეთის მაგიერათ 700 მან.; ორი უფროს მწერლის მაგიერათ, რომელთაგან ერთს 480 მან., ხოლო მეორეს 380 მან. ჰქონდათ დანიშნული, უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი, რომელსაც ჯამაგირათ ექნება 300 მანეთი წელიწადში, ორ უმცროს მწერალს 600 მანეთის მაგიერათ უნდა დაენიშნოთ 480 მან.; ორ დარჯს 480 მაგიერათ 360 მან.; გამგეობის მოსაწყობათ 1000 მან. მაგიერათ უნდა გადადებულ იქმნას 800 მან.


ქიათურის რკინის გზაზე ამ ქამათ იმყოფება 4 სახალხო და 12 საქონლის მატარებელი. ყოველ დღე ქიათურის სადგურიდან მოაქვთ საშუალო რიცხვით, 118 ვაგონი ანუ თითოეული ვაგონით 750 ფუთი შავი ქვა. ამ წლის 1-ლ აგვისტომდე იქიდან გამოუტანიათ 5 მილიონ ფუთით მეტი შავი ქვა, ვიდრე შარშან ამავე დროს განმავლობაში.

ამ წლის შემოდგომაზე მთავრობა განიხილავს რამდენსამე შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ კავკასიისა და ამიერ კავკასიის დიდსა და მკიდროთ დასახლებულ სოფლებში შემოღებუ იქმნას შემოკლებული საქალაქო დებულება.

გუბერნიის მართველმა ამ დღეებში წინადადება მისცა ღუშეთის ქალაქის მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელს, ცნობები მომავლადეთ იმის შესახებ, თუ ვინ შეჰკრიბა ფულა ხოლერასთან საბრძოლველათ და მხოლოდ ახლა რათ გადაეცა ეს ფული ქალაქის გამგეობას ზანდუკელის-მიერო.

თფილისის ოლქის სასამართლოში წარდგენილ იქმნა ბორჯომის მამულის 18 გლეხის საქმე, რომელთაც ისა ბრალდებათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს სურამის ნაწილის ბოქაულს და პოლიციის მოხელეთ, როცა ეს უკანესკენლნი სასამართლოს განაჩენს ასრულებდნ.

თფილისის სომეხთა ფეთხანის ეკლესიის გვერდით არის ერთი ძველი ნაშთი, ქართველთა კერპთ-



თაყვანის ცემის სალოცავი, რომელსაც ძველათ თვით ქართველთა მეფენიც კი ჰყარველობდნენ და მის შე მუსხრის ნებას არავის აძლევდნენ. სასურველია, რომ ეს ძველი ნაშთი ჩვენი კერპთ თაყვანის მცემლობი- სა დაცულ იქნას.

20 აგვისტოს, მოხდა თფილისის საქალაქო საქ- მეთა საგუბერნიო საკრებულოს სხდომა, რომელზე- დაც, სხვათა შორის, განხილულ იქნა შემდეგი საქმეები: 1) ქ. გორის 1899 წლის შემოსავალ-გა- საყლის აღრიცხვა; 2) თფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება სოფლის ნაწარმოებთა ეტლების დაყე- ნების გადასახადის შესახებ; 3) თფილისის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილება ქალაქის მამა- სახლისის თანამემწის მოვალეობათა განსაზღვრის შესახებ; 4) ბ ნ ვასილიყვის საჩივარი თფილისის ქალაქის საბჭოს იმ დადგენილებაზე, რომელიც და ფასების გარდასახადის აკრეფას შეეხება; 5) დუშეთის ქალაქის გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნების საქმე; 6) საჩივარი თფილისის მოქალაქეთა გამგეო- ბის თანამდებობის კაცთა არჩევნებზე, და 7) თფი- ლისის ტრაქტირების და სასმელების დუქნების პატ- რონთა საჩივარი თფილისის ქალაქის საბჭოს იმ დად- გენილებაზე, რომლის ძალითაც ამ წლის სატრაქ- ტირო გარდასახადის საზოგადო რაოდენობა არ იქნა შეზღუდული.

სენატმა განმარტა შელაგათი მევენახეთა საკუ- თარ ბალის ღვინის უპატენტოთ გაყიდვის შესახებ. სააქციზო უფლება განსაზღვრულია შემდეგი შენი- შენით: „მევენახეთ შეუძლიათ გაყიდონ საკუთარ ბალის ღვინოები მხოლოდ ბაღებში, ბაზრებში და ნავთსადგურებში“. ამ გვართ დაქირავებულ სახ- ლებში მევენახეთაგან ღვინოების გასაყიდათ საყალ- დებულთა საეაქრო მოწმობის აღება.

რადგან რკინის გზის მატარებლის მგზავრებს, განსაკუთრებით კი მე-III კლასისას, დიდ შეწუხებას აყენებს ღამით სამგზავრო ბილეთების შემოწმება, ამის გამო განზრახვა ჰქონიათ დაწესონ ბილეთის ტალონის მოგლეჯა მგზავრთაგან მატარებელში აღ- გილის დაჭერის დროს, რის შემდეგ ღამით ბილე- თების შემოწმების ნაცვლათ დათელილ იქნება ტა- ლონები, რომლებიც თითოეულ ვაგონის კონდუქ- ტორს ექნება შენახული, და ამასთან დათელილი იქნება მგზავრებისაგან დაჭერილი ადგილებიც ბი- ლეთების მოუთხოვენლათ.

სახუმოიდან გვერენ: 15 აგვისტოს. მაქსიმოვის ზეოდში პარაკლისი გადიხადეს. სხვა სტუმრებთა შო-

რის იყო მოწვეული თ. შ—ძე. სადილს შემდეგ წაიღენ ზღვის ნაპირს, სადაც იმყოფება მაქსიმოვის ფიცრის საწყობი და ერთი ნოქარიც ცოლ-შეი- ლით. რქე ახლო არის თ. შ—ის საზაფხულო სასა- ხლე. სტუმრები დაბრუნდენ ზეოდში და შ—ძე კი წაიდა შინ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მივი- და მაქსიმოვის ნოქრის სახლში და მოურიდებლათ ჰკითხა, სად არის შენი ცოლიო. ქმარი გაშეშდა, ის კი შევარდა საწოლ ოთახში, სტაცა ხელი საწყალ ქალს და დაუწყო კოცნა. ქმარა რომ შევიდა დაი- ნახა, რომ იმისი ცოლი წაექცია შ—ძეს ლოკინზე და პირუტყვივით ლოშნიდა. ცულის მოხმარება დააპი- რა, მაგრამ ამ მხეცმა ისეთი მუშტი ჰკრა სა- წყალს მუცელში, რომ ტიკივით გაგორდა, გა- მოვიდა გარეთ და იწყო ყვირილი „მიშველეთო“. მოვიდენ იქაური მცხოვრებნი, მაგრამ ახლო ველა- რენი გაბედა მისელა, რადგან იცოდენ შ—ძის ხასია- თი, რომელმაც რაკი დაინახა ხალხმა გაიგოვო—ადგა და დაუწყო ოთახში მსხერევა რაც შეხედა, დაამტვრია აგრეთვე კარი და თანჯარა. ამ დროს შეშინებული მტირალი ქალი გამოვარდა გარეთ და ფიცრებში მი- იმალა. თავადმა ბევრი ეძება, მაგრამ ამაოთ, რადგან ცოლ-ქმარმა შეიღებიათ მოასწრეს გაპარვა სად- ლაც ღამის გასათევათ და მიატოვეს შ—ძეც და დამტვრეული სახლ-კარიც. ჯერ-ჯერობით ძალიან შეშინებულნი არიან ქალი და ბავშვები, რადგან ამო- ლებულ ხანჯლით ხელში ემუქრებოდა საწყალ ქალს თუ წინააღმდეგობას გაუწყვედა. 1)

„აკვალის“ კორესპონდენცია.

ქათურა. ჭიათურა მდებარეობს ორ მოზრდილ კლდეს შუა, შუა ჩაუღის მდ. ყვირილა. როგორც მოე- სენება მკითხველს აქ დიდი მოძრაობაა „მარგანეცის“ რასაც დიდი ბაზარი აქვს მოპოვებული სამზღვარ-გა- რეთ; ამდენი მომუშავე, როგორც ახლა ჭიათურაშია არავის ახსოვს, აქ მთელი არემარე ყოველ დღეს სა- მსეა ჩაღვადარ მეურმეებით და მუშებით, ამიტომ ნა- ხევარ. საათის საეალ გზაზე ორ—ორ საათს უნდებიან ტვირთის გამო; არა მკონია, რომ ასეთ პატარა ადგი- ლას რუსეთის სახელმწიფოში ამდენი მოძრაობა იყოს!.. რა თქმა უნდა დიდ მოძრაობას დიდი მტვერიც ახლავს, მაგრამ რა მტვერი?! მარგანეცის —შავი ნახშირივით; თვით არე მარეც თითქოს ძა-

1) ეს ის შ—ძეა, რომელმაც წელს ქუთაისში ახანოს კარები შეამტვრია და მოხანაკე ქაღებს დაქრია. ეს საქმე სასამართლოშია იყო.

ძით იყოს შემოსილი ისეა გაშავებული, კაცები, ცხენები, ჯორები, ურმები თუ სხვა, რომელნიც პირველ შეხედვით ჭიანჭველსავეთ გაბმულა თვალ აუწყდენელ კლდეებზე. არ შეიძლება არ გეოცოს — რომ ამ ლამაზ ვაჟკაცებს, როგორც ჩვენი კუთხის ხალხია, გასერა, და აფრიკის ხალხის, დამსგავსება უნებებიათ, მანლობელ ამხანაგსაც ვერ იცნობ აქ სანამ პირს არ დაიბანს. საბედნიეროთ ეს მტვერი არაფის წყენს, ან სიშავეს ვილა მიაქცევს ყურადღებას, როცა სასარგებლოა, მაგრამ ჭუჭყი მაინც შემაწუნებელია ხალხისათვის; ამის ასაცილებელათ არაფითარი ხელოვნური საშუალება არა აქვს ჭიათურას, თუმცა ბუნებას კი დაუჯილდობია ის, თავის წარმატაცი ძვირფასი წყაროებით და ჰაერით. ამისთანა ადგილას მყოფთ მუშების დედ მამა, თუ ცოლშვილი უთუოთ მოლოდინში არიან, მოსაგებით მოვა გაგზავნილიო, მაგრამ ბევრ მათგანს ავიწყდება შინაობა და კვირიდან კვირამდე ნაშოვარს კვირეს ჩანთქავს. და შეიძლება კიდევ თავი შეწირონ აქაურ ლეკურ-ხანჯლიანებთან ქეფს. კვირა დღეს თათრების სეტს მოამუშავეთ ველარ ხედავთ, მაგრამ ბაზარი მაინც სამსეა ხალხით, ამ პაპანაქება სიცხეში. ზოგი მღერას, ზოგი ყვირს, გახდება შუადღე თუ არა, შეიქნება ლეკურების, ხანჯლების და რეოლევრების ტრიალი, სადაც ძალიან დახელოვნებულნი ბრძანდებიან აქაური ყმაწვილები და მაშინ უნდა ნახო აქაური სურათი, რამდენი „ვაი დედავ და მომკვლეს“ ძახილია ხალხში, ამდენი იარაღიანიც აღარ მინახავს აქ რო არის, მეფექსმეტე საუკუნის რაინდობას მოგაგონებს. ამისთანა სააპეკუნო ყმაწვილებს ვინ ჰყავს პატრონი?! არაფინ. პოლიცია მაღალ სუფთა გორიდან გადმოჰყურებს, მაგრამ, რა თავს აიტკივებს! მას არაფინ ერჩის და ისიც განისვენებს!. აბანო აქ არ აქვთ, ყვირილის წყლით ისუფთაებენ ტანს, რაშიაც აუარებელი ცხენი და ხარებია ჩაყრილი, ჩამპალი; ქვევით და ქვევით კიდევ სვამენ ამ მდ. წყალს. კარგი იქნებოდა რომ დახოცილი პირუტყვები მაინც მდინარეში არ ჩაეყარათ, თუ კი დასამარხი მიწა იპოვება სადმე!..

გონების საფარჯიშოზე სრულებით არ ზრუნავენ, აქაური ახალგაზდობა. ერთხელ კი არსებულა სამკითხველო, მაგრამ ამჟამათ, აქაური ახალი თაობა გულგრილათ შეჰყურებს მას. ვითომ დახურა იგი საშუალოთ?!; თუ რა დიდი ნაკლია ჭიათურაში მისი — უქონლობა, ეს კი უნდა ესმოდეს ახალგაზდობას, მაგრამ ჩანს აქაც სიბნელე იმარჯვებს.

დ — თ. კრ — ლი.

* *

ფ აღლილ დაქანცულთ, მიამინებულ საფლავის გრავათ, გმირებს მატყნიდთ მონიდული ისრით სელშია ვანებოთ თავი, მკვდაჩს გადავტეთ მ. ვდარი საგლავათ, ჩვენ კი ჭაბუკნო, დავიჭაჭუნეთ ჩვენს უღელშია.

იმათი მკვები და დრმა კვალი ძრეული სულის ცისგრავან ბურჯის ასამართათ გამოგვადგება. რათ უნდათ გლავა, რაკა მათი ჰწყინვალე სასე უქს გოფგოთიდან თავს გვირგვინათ გადმოადგება.

თქვენ, შავრდენო, ერის წყლულზე ნაშობნო შეიღნო, ჩაქუნთან ერთათ, ვით დგიდ მძასთანა ტანჯვით აღზდიღნო, ხმა, ხმა, ერთმანეთს გაგაკეთათ ძმური ფარგალი და მომავალსა, რეგორც იმედს მიგაბეწათ თვალი!

ნაწითობი მკვავი და სელები გოყრებით სასე, მუქუს მაგივრათ — მშობლის რფლით გამოგვებულნი, აი საბუთი გამარჯვების, ჩვენი სიმართლის, მისთვის მოგდივართ რაზმ დაწყობით გადომებულნი.

ხმა, ხმა, ერთმანეთს, შავრდენო ჩემის ქვეუნიას, მძიმეა ტვირთი, მსხვერპლს თსრულაბს გოფგოთის ჯგაჩი, აჭა, ინათა, ცის ტატნობზე მასარობელი სსივ მადღიანი ამოტრუდა ჩვენი ცისკაჩი!

ი. კვდოშვილი.

ჩვენი მწერლობის წერილმანები.

II.

(დასასრული *)

(„მკველი და ახალი სკოლა“ ქ-ნ. ნ. ზურაბიშვილისა).

მითქმის იგივე გვეთქმის ბ. დი — კალბოლის შესახებაც. მისი აზრით უნივერსიტეტების რაოდენობა, ვექილების და ექიმების რიცხვი, გადამეტებული ლიაში და ჟურნალისტები ხომ თავს გადადის მის კურთხეულ სამშობლოს! „საინტერესო ის არისო,

*) ის. „კვალი“ № 33.

გეცნობს ქ. ზურაბიშვილისა ამ ავტორიტეტს, რომ ავტორი ამ განუხეივ მრავალტარაქტის ანსუბობას ახალსავეს ვლასსიკურ სისტემას, რომელიც ადამიანს სრულებით არ აწადებს ცხოვრების ბრძოლისათვის და მხოლოდ სექს უწყობს სოციალისტურსა და ანტიქრისტიანულს. ეს ძლიერ საშიში მოვლენა საზოგადოებისთვის და, რადგან ახლა დიდებს აღარა ეშველებათ, ახალთაობას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ამათის აღზრდით უნდა შევიძინოთ სასარგებლო მამულიშვილები, რომელთაც შეეძლოთ ენერგიული ბრძოლა ბოროტებასთან, მედგარი და პატიოსანი შრომა, ხოლო ამისათვის საჭიროა შესაფერი ცოდნაც ჰქონდეთ მოხვეჭილიო“ - ამთავრებს ბ. დი - კალბოლი; *) ამითვე თავდება მე-III თავი ქ. ზურაბიშვილის წერილსა; არც აქ და არც სხვაგან არაერთარი შენიშვნა არა აქვს ამ ტირადაზე ე. ი. ეთანხმება ბ. დი - კალბოლს. სწორეთ „საინტერესოა“ მეტი რომ არ ეთქვათ, რომ ავტორიტეტი და მისი მიმდევარი სკოლის მოვლენილათ თელიან პროლეტარიატს, თუნდ გონებრივსაც, და მისივე შემწევობით უნდათ ამ „საშიში მოვლენის“ მოსპობა. პროლეტარიატის მოსპობის წინააღმდეგი არც ჩვენ გვექნება არაფერი, თუ კი ეს შეიძლება ე. ი. შეიძლება ყველა უზრუნველყოთ სკოლით ან სხვა გზით. მოსალოდნელია, ჩვენი ავტორების წინააღმდეგი ისევე მათი მოკავშირე ბურჟუა გახდეს, რადგან ის სხვის ოფლით ცხოვრობს, უმისოთ ვერ სუნთქავს. ბურჟუასთვის და აგრეთვე მისი იდეოლოგიებისთვის საინტერესოა დღევანდელივე ფაქტიკური და იურიდიული მდგომარეობის დაცვა, და ყოველ ღონისძიებას იხმარს იგი თვითცნობიერების, კლასებრივი ინტერესების შეგნების დასამზობათ, და ჩვენი აზრით ეს ავტორებიც ხელს უწყობენ მას მიზნის მიღწევაში, როცა სოციალურ უბედურებას სკოლას აწერენ. ეს მდაბურათ რომ ეთქვათ სიტყვის ბანზე ავდება. მართლაც, რომელი გიჟი დაიშურებდა რასმე, რომ სკოლების ასეთი თუ ისეთი მოწყობით შეიძლებოდეს სოციალურ სწავლებათა განკურნვა! მეტათ გულუბრყვილო ახსნა იქნება, სკოლას დეაბრალირათ პროლეტარიატის მოვლინება და თუ ისტორიასაც მოვიხაზრებთ, სულ წინააღმდეგს დავინახათ: სკოლის განერთარება, გაუმჯობესება და პროლეტარიატის ზრდა პარალელურათ ხდება; ექვს გარეშეა, რომ დღევანდელი სკოლა წინანდელზე წინ არის, და თან უზინაო ხალხის რაოდენობაც გაცილებით მეტა, როგორ მოხდა ეს, თუ კი სკოლასა და ამ მოვლენის შუა ისეთი დამოკიდებულება არსე-


ბობს, როგორც ქ. ზურაბიშვილისას ჰგონია? აშკარაა, პირველი არ არის მეორეს მიზეზი და მეორე პირველის შედეგი, და თუ ასე იყო დღემდის, ვერც დღეს იკისრებს სკოლა ამ მიძიმე ტვირთს. რა ტიპის სკოლაც უნდა გამართოთ, ისეთს ვერაფერს გამოიგონებთ, რომ თანამედროვე სოციალურ პირობებში დაამყაროთ „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება“, ვერა, რადგან სკოლა და იდეა ვერ შეცვლის ეკონომიურ წესწყობილებას, ვერ შეარყევს წარმოების წეს-რიგს და ნაწარმოების განაწილებას; ამას ვერ იქს ვერც ჰუმანიური და ვერც სპეციალური სატენნიკა სკოლა. შორს არ წავალთ და მიგითითებთ იმავე „მოამბე“ პირველ ნომრებში მოთავსებულ ე. იოსელიანის წერილზე („მოამბე“ № 1 ბ 2) „მეურნე და მეურნეობა“. და თუ იტალიაში პროლეტარიატის რიცხვი მატულობს, თუ უმწეო ხალხი ქუჩაშიც გამოდის მემბოხეთ, ეს სკოლის კი არა, იქაური კაპიტალიზმის განუვითარებლობის შედეგია, აქაური მართებლობის ერის სიღარიბისადმი უყურადღებობის მიზეზითაა*).

კლასიკური სკოლის მომხრე არც ჩვენ ვართ, ჩვენც საჭიროთ მიგვაჩნია მისი ძირითადი შეცვლა, და ამ სკოლის კრიტიკაც ქ. ზურაბიშვილის წერილებში სამართლიანი და საბუთიანია, რამდენათაც იგი უარყოფს ამ სკოლას, ოღონდ ვეწინააღმდეგებით მას სკოლის მნიშვნელობის გახვიადებაში; სოციალიზმის და ანარქიზმის ამ კლასიკური სისტემით ახსნაც ერთობ ახირებულათ გვეჩვენა. ასეთი აზრის არე-დარევა გაუგებარია ჩვენთვის, როცა ამას პედგოგი და საზოგადო ცხოვრების მიუდკომელი მკვლევარი კისრულობს. სულ სხვაა, როცა ამას პოლიტიკის კაცი ჩადის; უკანასკნელი შეიძლება დაინტერესებულიც იყოს (და ასეც არის) ნამდვილი მიზეზი დამალოს, ბურჟუსში გახვიოს და ხალხის ყურადღება სულ სხვა მხარეს მიაქციოს, პირველი კი, წინააღმდეგ, ჰემმარიტი მიზეზების ჩვენებაშია დაინტერესებული, და გეკონია, ჩვენი პატივცემული ავტორის წერილი, რამდენათ ის საზოგადო კითხვებში გადადის, ვერ აღწევს ამ მიზანს; სწორეთ ამიტომ შეეჩერდით ასე ხანგრძლივათ.

მეტათ სასიამოვნოა, რომ ავტორი მართო თეორიული გამოკვლევით არ კმაყოფილდება, ის პრაქტიკული მხარიდანაც უფლის კითხვას და ცდილობს გვიჩვენოს საშუალება ახალი სკოლის იდეების განსახორციელებლათ. სამწუხაროა მხოლოდ რომ არაფერი ცნობები არ მოჰყავს. გვეუბნება, ეს სკოლა

*) „მოამბე“ III 99 წ. გვ. 73.

*) ის. ჟურნალი „Жизнь“ № IV დაბრძოლას უკრძალი.



ადგილი მოსაწყობია, იაფათ ჯდება; გვეუბნება და მართლიცაა, რომ 50—100 ქალისთვის სკოლის მოწყობა უფრო საადვილოა, ვიდრე 800-1000, ნამეტურ, როცა ინტერნატი იქნება, მაგრამ ინგლისში იაფი—ჩვენში ძვირია, სულ სხვა საზომია აქა და იქ.

ჩვენ მეტათ ღარიბნი ვართ და ჩვენი სიღარიბის საუკეთესო მოწმობა ჩვენი ბანკიდან გამოსატან ფულლებზე შეშლაა, ამ პატარა თანხით ქვეყნის აშენება გვინდა და შესაძლებელათა (ვიგვაჩნია. საჭირო იყო მიექცია ყურადღება ავტორს ამ სიღარიბისათვის და ისე დაეყენებინა კითხვა, თორემ ინგლისში და საფრანგეთში რომ იაფს უძახიან ჩვენში ძვირი გამოდგება. ამ წერილში არ არის მოხსენებული რა ჯდება მთლათ სკოლის შენახვა, რა ჯდება თითო მოსწავლე, რამდენათ ამსუბუქებს ხარჯს მოსწავლეების შრომა და არც ის თუ რა წოდების და რა შეძლების ხალხია ამ სკოლაში; ყოველივე ეს კი აუცილებელი საჭიროა. გამოგიტყდებით, ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სკოლის გაცნობამ, რომ იქ მხოლოდ რჩეულთ (შეძლებით რასაკვირველია) შეუძლიათ სწავლის მიღება, და თუ ასეა ღირს კი ამდენ ლაპარაკათ?!

დასასრულ კიდევ ერთი კითხვა: რათ გგონიათ, რომ ქალების სწავლა მამაკაცისაზე წინ უნდა დაეყენოთ?

„მართალია ბ. პეტრიაშვილი იმაშიც, რომ ქალების სწავლა განათლებას უფრო მაღლა აყენებს, უფრო საჭიროთ რაცხს, ვიდრე კაცებისას; „როგორიც ვერო, ისეთი ბერიო“, როგორც ქალია, ისეთი ოჯახია; როგორც უნდა და როგორც ვსმის, ისეთ ელფერს დასდებს ქალი თავის ოჯახსო“, ბრძანებთ თქვენ. გეთანხმებით, რომ ქალი ადებს ელფერს ოჯახს, მარა თითონ ქალს ვინ ადებს ელფერს? ჩვენ ვფიქრობთ მამაკაცი და მისი გემოვნება. ასეა დღეს და ასე იქნება კიდევ კარგა ხანს ჩვენ უკუღმართ ცხოვრებაში; სანამ ქალი დამონებულია ეკონომიურათ—იგი დამონებულია სულითაც; ეს იქცევა ისე როგორც მამაკაცს მოწონს, ცდილობს მისი გემოვნება დააკმაყოფილოს და ამით მიიქციოს ყურადღება; ამიტომ, თუ კაცის გემოვნება ნაკლებათ იქნება განვითარებული, დამერწმუნეთ, სანამ ქალი განთავისუფლდებოდეს, კიდევ დიდხანს ეცდება ამ თავის მოწოდებას, რომელიც დაამდაბლებს და ვერ აამაღლებს მის გონებას და ზნეობას. რა სამართლიანობას ხედავთ რამე უპირატესობა პრივილეგიაში, ან რომელი ფემინისტი თხოულობს რამე უპირატესობას? პირიქით ყველას იდეალი უფლებისა და მდგომარეობის გათანაწორებაშია! თუ თქვენ ქალს მართო დედის და აღმზრდელის როლს აკუთვნებთ,

მაშინ კიდევ შეიძლება პედაგოგიაში მოხდეს ხოლო ასეთი უპირატესობა, და თუ მართლა უფლებათა გათანაწორებაზე ზრუნავთ, მაშინ კი არც აქ და არც სხვაგან უპირატესობას არ მოითხოვთ, მოითხოვთ მხოლოდ თანასწორობას!..



ნ. კლიაჭა.

ღია წერილი ქართველ ფარმაცევტთა მიმართ.

დიდათ მატყვეტეულნი ამხანაგნი!

მომავალ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში დაწინაურებულია მოსკოვში საერთო ფარმაცევტიული კრება. კრების საორგანიზატორო ბიურომ უკვე გამოაქვეყნა პროგრამა კრებისა, რომლის უკანასკნელი მეშვიდე მუხლი შეეხება: „აფთიაქის შინაურულ საქმეთა გაწესრიგებას“. თუმცა აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, მარა უნდა ვიფიქროს, რომ ამ მუხლს ჩვენი-მოხელე ფარმაცევტთა ყოფა ცხოვრება უძველეს სარჩულათ. ასეც რომ არ იყოს ჩვენმა შევიწროებულმა მდგომარეობამ ლამის ქვები ალაპარაკოს და მომავალი ფარმაცევტიული კრება, უეჭველია, ამას გვერდს ვერ აუხვევს..


კრებათა მნიშვნელობა საზოგადოთ მრავალ გვარია იმის და მიხედვით, თუ რა კითხვებს გამოუწვევია თვით კრება: მეცნიერულს, თუ სოციალურს. ფარმაცევტიული კრების მეცნიერულა სესხია შეეხება მრავალ მეცნიერულ კითხვებს, რისიც თავდებია თავმჯდომარეობა ცნობილი პროფესორის ტინომიროვისა. სხვა სესხები კი ფარმაცევტთა სოციალურ პირობების ახსნა-განმარტებას შეუდგებიან. ეს ფაქტი თავის თავათ ამბობს, რომ ჩვენი პროფესია ახლო დგას რამდენსამე მეცნიერების დარგთან, ჩვენ კი ვეჭვებდებარებით იმ ცხოვრების სოციალურ კანონებს, რომელიც თან მოსდევს შრომის ფულებზე გასაღებას.

საერთო კრებას, მართალია, არა აქვს აღმასრულებელი უფლება ბევრ შემთხვევაში, მაგრამ კრებათა ინიციატივა, კერძო პირთან შედარებით, მეტ გარანტიას იძლევა მთავრობის წინაშე და მეტ თანაგრძნობას პოულობს საზოგადოებაში. თვით რომელიმე კითხვის გადაჭრა კი, ავით თუ კარგათ, დამოკიდებულია იმ ელემენტის რაოდენობაზე, რომელიც კითხვის სასურველათ გადაჭრაში უფროა დანტერესებული. პიროვნულ ავტორიტეტს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ბრბოზე, მარა მომავალ ფარმა-



ცვეტიულ კრებაზე ამას აღვლი არ უნდა ექნეს, რადგან ორი შეგნებული მოწინააღმდეგე აქ მოიყრის თავს: მოხელე ფარმაცევტი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა და ელტვის მის გაუჩუბესობას; მეაფთიაქე, რომელსაც გათვალისწინებული აქვს, თუ რა ძვირათ დაუჯდება მოხელე ფარმაცევტთა ლტოლვილებანი. პირველი ამბობს: „მე მშრომელი ვარ; შრომისათვის მჭირდება განათლების ცნობი, პრაქტიკული და თეორიული მომზადება, რაზედაც ანგარიშს ვაძლევ უმაღლეს სასწავლებლებს — უნივერსიტეტს. ვშრომობ ყოველ დღე შუათანა რიცხვით 13—14 საათს. შრომაში მე შემაქვს ჩემი ზნეობრივი სიფაქიზე, ჩემი წინერებები; ხშირათ არამც თუ მავიწყდება საკუთარი დაღლილობა, პირ იქით

მხედება შოლტები, რომლებიც სხვებს უნდა მოხედროდა. შრომა დახუთულ ჰაერში, შეუძლებლობა საზოგადოებაში გარევისა, მწერლობის თვალყურის დევნებისა, მართმეფს თან-და-თან ადამიანის ნიშნობლივ თვისებებს და მამგზავსება ავტომატს, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ხელოვნური ავტომატი თავისი მექანიზმის სიმარტვით ბევრათ უწინ დგას ფარმაცევტ—ავტომატზე. ბიოლოგიური კანონების მიხედვით პიროვნების ინტერესი თუ არა, საზღვადგებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ფარმაცევტთა ცხოვრების პირობები შეიცვალოს, რადგან ავტომატი ვერ გამოადგება იქ, სადაც ადამიანი გრძნობა, განვითარება და ზნეობრივი სიფაქიზე არის საჭირო“.



პირუტყვეთა თავშესაფარი მონასტერი ინდოეთში.

ზემოქმინდოეთში — ბენარესში, რომელიც ინდოელებს „წმინდა ქალაქი“ დაუსახავთ, მაიმუნებისთვის არის აშენებული ეს, შესანიშნავი მხეცების თავშესაფარი მონასტერი, დურგაკხუნდათი წოდებული ყოველ მხეცს, რომელიც კი აქ თავს შეაფარებს, ინდოელები წმინდანებათ თვლიან და ამ „კუდებთან წმინდანების“ პატივსაცემლათ ყოველ წდობით დიდ დღესასწაულს მართავენ, და სხვა და სხვა სანოვაგეებით უმასპინძლებიან.



მ ა თ ხ ო ვ ა რ ი ბ ა გ შ ი.

მეორე გაიძახის: „შევერთდეთ, ძალა ერთობა-
შია, შეერთებული ძალით ვემსახუროთ კაცობრიო-
ბასო“ და იმავ დროს სისტემატიურათ ხელს უწყობს
მოხელე ფარმაცევტთა გონებრივ და ფიზიკურ ფი-
ზიონომიის დაუძღურებას, „მეც ძლიერ შევიწროე-
ბულ მდგომარეობაში ვარო“, განაგრძობს იგივე.
მთელი საიდუმლოება აფთიაქის „შევიწროებულ
მდგომარეობისა“, ჩემი აზრით იმაში მდგომარეობს,
რომ დაუძღურებულმა ოჯახისმა მოსკელე ფარმაცევტ-
ებისამ შუა დასუსტებული ტიპი შეაფთიაქესი, რომელსაც
არ ძალ-უძის გაუმკლავდეს გარეშე პროფესიათა გა-
მოლაშქრებას. 1) †

დაუყენეთ გვერდით ამ შეერთების დაძახებას
მეაფთიაქეს პრაქტიკული მოქმედებანი წინაშე. მოხე-
ლე ფარმაცევტებისა და დამეთანხმებით, რომ მხოლოდ
პირის-პირ წარდგომაში, ანგარიშის გასწორებაშია ესნა,
რადგან დღევანდელ პირობებში შეერთება შეუძლე-
ბელია და რომ მოხერხდეს კიდევ, ცხოვრება მეორე
დღესვე გამოაცლის მას ნიადაგს.

დღეს გვეძლევა ჩინებული შემთხვევა! მიუხე-
დავთ აფთიაქრების წინააღმდეგობისა, ჩვენ მოხელე

1) ამ კითხვას შეკვეთები სხვა დროს ვრცლათ --
შევესო.

ფარმაცევტთა უმრავლესობას—აფთიაქრის თანაშემ-
წევებს—მთაწრობამ ნება დაგვართო კრებაზე მონ-წი-
ლეობის მიღებისა. დანაშაულობა იქნება ჩვენი მხრით
არ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, არ წარვდგეთ კრე-
ბის წინაშე ფაქტებით ხელში და რუსეთის პროგრე-
სიულ ქურნალ-გაზეთებთან ერთათ არ მოვიცხო-
ვით დაკმაყოფილება ჩვენი კანონიერი თხოვნისა.

რაც უნდა ყური მოიყრუონ ჩვენმა მოწინააღ-
მდეგეებმა, სიმართლე თავისას გაიტანს!

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი თქვენგანი,
გრძნობს საჭიროებას საერთო ფარმაცევტიულ კრე-
ბაზე დასწრებისას, მარა ზოგიერთებს ნიეთიერი მდგო-
მარეობა აიძულებს ხელი აიღონ აქტიურ მონაწი-
ლეობაზე. ამ გვარ შემთხვევებში არსებობს ერთი სა-
შუალება, რომელსაც მე მსურს თქვენი ყურადღება
მივაქციო, სრულებით დაიმედებული, რომ აზრის
გაზიარებას დანაშაულობაში არ ჩამომართმევთ. ეს
საშუალებაა დღევანდების არჩევა თქვენივე წრი-
დან, ხმის მინდობა. ამ საშუალებას რამდენათ გავე-
ბული მაქვს, მიმართეს კიდევ პოლონეთის ფარმა-
ცევტებმა.

მე შემიძლია თქვენ შორის დავასახელო რამ-
დენიმე პატივცემული ამხანაგი, რომლებიც თქვენ-
გან მინდობილ მისსიას პირნათლათ აასრულებენ,
ოღონდ საჭიროა მათ აღმოუჩინოთ ნიეთიერი დახ-

მარება. ჩენი ყურადღება მათზე უნდა შეჩერდეს. ეიწრო ნაციონალურ შენ ჩემობას გასავალი არ უნდა ექნეს ამ შემთხვევაში.

მეტათ სასიამოვნო იქნება, თუ ქართველი მოხელე ფარმაცევტები, რომლებიც თავის ცოცხალ ბუნებით ცნობილნი არიან და ყველგან შეაქვთ თავის ინდივიდუალური თვისებანი, იკისრებენ კავკასიიდან დელეგატების გამოკზავნის ინიციატივას და მით ხელს შეუწყობენ საზოგადო საქმეს.

თქვენი პატივისმცემელი ქართველი ფარმაცევტი რუსეთში.

P. S. მე სრულად ვაზრათ არა მაქვს შევეხო მეაფთიაქის პიროვნებას. კერძოდ მე მრავალ მათგანს დიდ პატივს ვცემ, მარა ამან არ უნდა შემეშალოს ხელი წამოვაცუნო ის კითხვები, რომლებიც ჩვენმა პროფესიამ წარმოშობა: მე ვიმეორებ მხოლოდ იმას, რაც უკვე თქვეს რუსეთის პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებმა, და რასაც კარგათ გრძნობს ყოველი ჭეშმარიტი ფარმაცევტი.

იაპონიის მრეწველობა.

ჭერ კიდევ ამ 4—5 წლის წინათ იაპონიაში თითქმის არ არსებობდა რამდენათმე შესამჩნევი ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა. იყო მხოლოდ წერილი სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთათვის სულ მცირე მუშა ხელი იყო საჭირო. ამიტომ მუშათა კითხვა იმ აზრით, როგორც ეს ესმისთ ევროპაში, იაპონიაში უცნაობი იყო. მუშებსა და მათ დამქირავებლებს შორის უთანხმოება ისამზღვრებოდა თითო-ორიოლა დაწესებულებით და აქაც იშვიათი მოვლენა იყო, რადგან წერილ წარმოებაში მუშის და პატრონის ინტერესები ერთი მეორესას ძალიან უახლოვდებოდენ და მუშა თითქმის მთელ თავის სიცოცხლეს ერთად იმავე ალაგზე ატარებდა.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში იაპონიის მრეწველობამ დიდი ნაბიჯი წადგა წინ; ქ. ოსაკის, ამ იაპონიის მანჩესტერის, მარტო ბაჰინს სართავ ქარხნებში 20,000 სული მუშაობს, რომელთაგან 15,000 დედაკაცია. ამ მრეწველობის განვითარებასთან ერთად მასში თავი იჩინეს მუშათა კითხვის სახიფათო ნიშნებმა. საქმის ასეთი ახალი მდგომარეობა ყველაზე უფრო თვალსაჩინოა საბამო მრეწველობაში. აქ გაფიცვა იშვიათ მოვლენას უკვე აღარ შეადგენს. მუშებს აქ ისეთი ძლიერი ორგანიზაცია აქვთ, რომელიც ნებას აძლევს მათ თანდათან ასწიონ სამუ-

შაო ხელფასა: ოსაკაში ასეთმა ქირამ 3 წლის განმავლობაში 50 პროცენტით იმატა. იაპონიაში მუშათა ხელის სიიფე, რომელსაც ასე ხშირათ იხსენებდენ, დღეს უკვე წარსულს ეკუთვნის.

მწარმოებლები ძალა უნებურათ ურიგდებიან ახალ გარემოებას, რადგან მთელ მხარეში მუშახელის ძლიერი ნაკლებობაა. ამის გამო ხშირათ ისინი გარეულ კაცებსაც კი ქირაობენ. გამოცდილ მუშების მოთხოვნილება ბევრათ მეტია „შეძლებაზე“, ეს გარემოება კი შედეგია არა მარტო იმისი, რომ ამ მხარეში მრეწველობის განვითარების გამო მოთხოვნილება თანდათან იზრდება, არამედ იმისიც, რომ ამ გამოცდილ მუშათა რაზმს ძალიან ნაკლებათ ემატება ახალი ძალა.

თითქმის ებრიკის მთელ მუშათა რიცხვს, ანუ უკეთ, მუშა-ქალებს, რომელნიც 3/4 შეადგენენ მთელი რიცხვისას, იძლევა სოფელი. ხოლო, რადგან მიწის მუშაობა თანდათან ძვირი ხდება, მეფაბრიკეები იძულებულნი არიან თანახმათ ამისა გაადიდონ სამუშაო ხელფასი ფაბრიკებში, რომ მიიზიდონ მუშა ქალი ქალაქში. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იაპონელ ქალს სოფლის ცხოვრება ურჩევნია ქალაქისას, და იაპონელი მეფაბრიკეები ძალიან უჩივიან, რომ ქალები, როგორც კი ერთ ორს წელს დაჰყოფენ ქალაქში, წყინდებათ, ავდებენ მუშაობას და გარბიან სოფლებში სწორეთ იმ დროს, როცა ისინი გამოიცდებიან და სასარგებლო მუშები ხდებიანო. ამბობენ, მარტო 2 1/2% ხდება პროფესიონალურ მუშა-ქალათ; დანარჩენები ან თხოვდებიან ან სხვა უფრო სარფიან საქმეს ჰკიდებენ ხელს.

ათას გვარ საშუალებებს იკონებდენ იმისათვის, რომ მუშა-ქალი ფაბრიკაში გაეჩერებიათ: ქირის დარიგების ვადის გაგძელება (რაც მექარხნისათვისაც დიდი სარგებლობაა), საჩუქრები გადაჭრილ წელთა დაყოფისათვის ქარხანაში, საფაბრიკო შემნახველი კასსა, რომელიც დიდ % იძლეოდა (ათ წილათ მეტს თითონ იღებდა უთუოთ),—მაგრამ არც ერთმა საშუალებამ არ გაჭრა. ამის გამო ფაბრიკებს მუდამ ახალ, გამოუტყველ მუშა-ქალებთან აქვთ საქმე, რასაც, რასაკვირველია, დიდი გავლენა აქვს გაკეთებულ საქონლის ღირსებაზე.

ამ მუშების ქირაობის სიძნელემ გამოიწვია განსაკუთრებული აგენტურების დაარსება, რომელნიც ჰკრეფენ სოფლებში მუშა ხელს და აწვდიან მას ვინც საჭიროებს, რისათვისაც იღებენ გადაჭრილ სასყიდლს. ამავე მუშათა ნაკლებობამ ამ ახლო ხანში საყურადღებო ბრძოლა ასტენა იაპონელ ბაზმის სართავ-ქარხნების კავშირსა და ერთს ფაბრიკას შორის, რომელიც ამ კავშირის გარეთ იყო დარჩენილი. სა-

ქირა მოვიხსენიოთ, რომ კავშირის დაარსების მიზანი იყო არ მიეღოთ რომელიმე ფაბრიკიდან გამოსული მუშა და მით დაეცვათ ნაკლები სამუშაო ქირები.


მაგრამ კავშირისაგან დამოუკიდებელმა ფაბრიკამ, რომელიც თავისუფალი იყო ყოველივე ვალდებულებებისაგან, აუწია სამუშაო ხელფასს და მიიღო სხვა და სხვა ზომები თავის მუშა-ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რითაც მიიზიდა თავისკენ კავშირის მუშები. გამწვავდა ბრძოლა, რომელსაც ორივე მხარემ მთელი თავიანთი ძალა მოახმარა. ზოგჯერ კაცებსაც კი ქირაობდნენ ერთის მხრით იმისათვის, რომ ძალით დაებრუნებიათ ფაბრიკებიდან გაქცეული მუშა-ქალები და მეორე მხრით მათთვის შემწეობის აღმოსაჩენათ (ეს ნაქირავეები კაცები რომ არ ჰყოლოდათ, არც შემწეობა იქნებოდა საჭირო). ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ის იყო, რომ თვითონ მუშებს სრულიად არ აქცევდნენ ყურადღებას, თითქო ისინი იყვნენ რალაც სათამაშო უსულო საგნები და მეტი არაფერი.

ბრძოლა აქ არ შეჩერებულა. კავშირმა გამოაცხადა, რომ ის ყოველსავე დამოკიდებულებას წყვეტს იმ პირთან, რომელიც რაიმე საქმეს დაიჭერს დამოუკიდებელ ფაბრიკასთან. ამ სახით, ასეთ პარებისაგან არა თუ მისაღების ყიდვა შეწყვეტა, არამედ თავის ნაწარმოების მიყიდვაზედაც უარი უთხრა. მოწინააღმდეგე მხარე საქმას ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტრისათვის შესაფერი პასუხი გაცა. საქმე იმაშია, რომ ეს ფაბრიკა ეკუთვნოდა ოსაკის ერთ უპირველეს ბანკირთაგანს; მან მოთხოვა კავშირს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს მას მისგან აენასათ მიღებული ფული და ამასთან დაუხურა მათ კრედიტი. ამ ნაირათ მთელი ბაზის სართავი წარმოება სახიფათო განსაცდელში ეარდებოდა. ბოლოს ხანგრძლივ ბრძოლას ვერც ერთმა მხარემ ვერ გაუძლო და საქმე გადაეცა განსახილველათ არჩეულ პირთაგან შემდგარ სამსაჯულს, რომელმაც ორივე მხარე დამნაშავეთ იცნო.

დღემდე იაპონიის მთავრობას არავითარი საფაბრიკო კანონმდებლობა არ აქვს. ფაბრიკების მართვისა და თვალყურის გდების შესახებ სხვა-და-სხვა დადგენილებანი, ან ქალთა და ბავშვთა შრომის გაწესრიგება სრულიად უცნობია იაპონიაში. ასეთ კანონმდებლობას მაგდენათ არც საქარობდნენ, სანამ სამუშაო დაზგა ფაბრიკაში კი არა, მუშის ოჯახში იყო, რომელიც თავის სურვილისამებრ აწესრიგებდა შრომისა და დასვენების საქმეს. თავის ნებაზე მიშვებული იაპონელი დიდათ არ იწუნებს თავს მუშაობით. ამის გამო რაიონების ის დიდი რაოდენო-

ბა, სრულებითაც არ აღნიშნავს იმ შეუწყვეტელი შრომის საათებს, რომელსაც საქმეს ანდომებს. როგორც აღმოსავლეთის ყველა ხალხის, ისე იაპონელის ბუნება ეწინააღმდეგება გამედუმულ შრომას: ყოველ ასეთ ბეჯით შრომას უთუოთ მოჰყვება შესვენება იმისათვის, რომ მუშამ თამბაქო მოსწიოს, ჩი დალიოს ან ამხანაგს გამოესაუბროს.

მაგრამ ახლა კი, როცა მთელი სამრეწველო ენერჯია იკრიბება ევება ფაბრიკებში, მჭიდროთ დასახლებულ ქალაქებში, სადაც მუშები ჩვეულებრივთ ვეღარ მიეცემიან თავისუფლებას და სურვილისამებრ მუშაობას, და გაფაციცებით უნდა სდიონ მანქანის ტრიალს, ახლა ცხადი შეიქნა, რომ დადგა დრო, როცა რამდენიმეთ მაინც უნდა შეზღუდონ ფაბრიკებში დედაკაცთა და ბავშვთა შრომის თავაშვებული ყველგა. (Пет. Вѣд. 1898 № 290).



ფაბრიკები იაპონიაში.

ოსაკის ყველა ფაბრიკებში, სადაც სამრეწველო გულია იაპონიისა, დღითა და ღამით შეუწყვეტელი მუშაობაა. მუშები იცვლებიან დღისა და საღამოს ნ საათზე. ამასთან ღამისა და დღის მუშები კვირაში ერთხელ უცვლიან ერთმანეთს თავიანთ მდგომარეობას, ე. ი. ღამის მუშები დღის მუშებათ ხდებიან და დღისა—ღამისათ. ერთი იქაური საუკეთესო ფაბრიკის გამგე აცხადებს თავის დაკვირვებას, რომ ღამით მუშაობა 30 პროცენტით ნაკლები ნაყოფიერია, ვინემ დღისით მუშაობაო.

ზოგ მუშებს ფაბრიკებში ეძლევათ ბინა და სასმელ-საჭმელი, დანარჩენნი თავიანთ სახლებში ცხოვრობენ. სამუშაო ქირა ორსავე შემთხვევაში ერთნაირია, მხოლოთ ფაბრიკა უჭერს თავის მდგომარეობს საქმლის ფულათ ნ ცენტრს ანუ ნ კაპეკამდე. ამ ფელს არას გზით არ შეუძლია დაჰფაროს საჭმელზე გაწეული ხარჯი (ამათი ფასები ახლა აწეულია), მაგრამ მეფაბრიკეები ძველი ჩვეულებით მეტს არ ურიცხვენ. ამნაირათ ფაბრიკებში მცხოვრები მუშები მოგებაში არიან, თუმცა მეორეს მხრით თავის ბინაზე მცხოვრები მუშა—ქალი უფრო უბრალო და იათი საქმლით გამოდის; ფაბრიკაში მცხოვრებ მუშა—ქალს კი (მამაკაცები ფაბრიკებში არ ცხოვრობენ) ძალიან კარგი ბინა და საჭმელი ეძლევა, რასაკვირველია, იაპონელებთა შეხედულობით, მათებურათ. საჭმელს დღეში აძლევენ სამჯერ. ის შედგება ბრინჯის, წვანილეულობის და თევზისაგან. ერთხელ თვეში ძროხის ხორცსაც აგემებენ. ღამის მუშები ამას გარდა



შუალამისასაც ჭამენ. საინტერესოა, რომ იაპონელთა ჩვეულების წინააღმდეგ, დედაკაცები ფაბრიკებში ევროპულათ სტოლზე ჭამენ და არა იატაკზე ფეხმოკეცილი. საქმლის რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ვისაც რამდენი უნდა იმდენ ბრინჯსა ჭამს და ჩაის დალევს მუშა—ქალების ბინა ჩვეულებრივ იანური გემოვნებისა არის, ე. ი. ოთახი. მიკლებულა ყოველგვარ ავეჯს, გარდა ჩალისაგან დაწულის ჭილობისა, რომელზედაც დღე სხდებიან და ღამით იძინებენ. ასეთ ოთახში 6-8 ქალამდე ცხოვრობენ; თვითეულს შეხედება სივრცე ვინ კვადრ. ფუთი. ბევრ ფაბრიკებთან, გარდა იმისა რომ სკოლაა, სადაც ყოველ საღამოს ორი საათის განმავლობაში პირველ დაწყებითი კოდნას აძლევენ დღის მუშებს, არის აგრევე აფთიაქი, სადგომები პირველი დანხარების აღმოსაჩენათ და აგრევე შენობები უფრო სერიოზული საქმეებისათვის. აქვე აქეთ ცხელი—წყლის აბანოები, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ერთ-ერთ რამდენიმე ქალმა ყოველ დღე, და ეს კი იაპონიაში ყველა წოდებისათვის დიდი ფუფუნებაა.


იაპონელ ქალთა ტანსაცმელი, განსაკუთრებით საზამთრო, სრულიად უხერხულია ფაბრიკაში მუშაობისთვის, რადგან ძალიან უშლის თავისუფლათ მოძრაობას. გრძელი, ძირს დაშვებული სახელოები ხომ მეტისმეტი ხელშემშლელია მუშაობაში; ამიტომ მათ გადაიგდებენ მხრებს უკან და იქ შეისკვნიან ხოლმე.

ინგლისის სალენერალო ელჩის შრენანს, რომელმაც ერთი უკეთესი ფაბრიკათაგანი ინახულა ქოსაკაში, სახელდობრ „იაპონიის ბამბის სართავი“, ისეთი საზოგადო შთაბეჭდილებანი გამოუტანია, რომ მუშა-დედაკაცები თავიანთი ხელობის სრულიად უეცნი, გამოუტყდელნი არიანო. მამაკაცები უკეთ მუშაობენ, მაგრამ ევროპულ მუშასთან სიახლოვეს ვერ მოეღწეო. („Пер. Вѣс.“ № 262 1898 წ.)

პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ ი .

ზიდა ხანია ჭეშმარიტებათ არის აღსარებულ, რომ ადამიანის ხასიათის შემუშავებაში აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აღზრდას კითხვა სართულეს გარდა იმდენათ ძნელი კითხვაა, რომ საბოლოოთ ვინ იცის როდის და როგორ გადაწყდება. აღზრდის შესახებ სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა შეხედულება არსებობდა. დღესაც ბევრგვარი შეხედულებაა, ხოლო ისეთ გონება გახსნილ ადამიანს ძვირათ ნახეთ, რომ აღზრდის მნიშვნელობას უარს ვყოფდეს. საზღვარ გარეთ, საცა საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებულია, ახალთაობის აღზრდას

თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ; იქ ბავშვს აღზრდას აძლევს ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, არსებობს მდიდარი საყმაწვილო ლიტერატურა. ქართველი ბავშვი კი ამ მხრივ დღეს დღეობით უნუგემო მდგომარეობაშია: არც საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში იმდენათ განვითარებული და არც საზოგადო ინტერესები იმდენათ შეგნებული, რომ საზოგადოება ახალთაობის აღზრდისათვის ზრუნავდეს. გონებრივათ ჩვენი საშუალო ოჯახი ისეთ სიმალღეზე ვერ არის, რომ მას ბავშვის რიგიანათ და დროს შესაფერათ აღზრდა შეეძლოს; რაც შეეძება საყმაწვილო ლიტერატურას, ერთათ ერთი „ჯეჯილა“ წარმოადგენს და თითო-ოროლა წიგნაკი, რომელიც ორ-სამ წელიწადში ერთხელ გამოვა. ასეთ მდგომარეობაში დიდი ყურადღებით ეპყრობი ადამიანი ყოველ აზრს და შეხედულებას ბავშვის აღზრდის შესახებ, რომელსაც კი შეხედულები ჩვენ მწერლობაში. მეც თვალ-ყურს ვადევნებდი ყოველ-სფერს ამგვარ შინაარსისას, თუ კი შეხედულები ჩვენ მწერლობაში. შარშან ბ. ბოცვაძემ „ჯეჯილის“ ნომრების გარჩევის დროს გამოთქვა თითო-ოროლა მოსაზრება ბავშვის აღზრდისა და საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ; ის ეხებოდა გონებრივსა და უმთავრესათ ზნეობრივ აღზრდას. ბ. ბოცვაძის ზოგიერთი მოსაზრება შემცდარათ მეჩვენა, რათ მეჩვენა,—ეს ამას წინათ კიდევ მოვახსენე „კვალი“-ს მკითხველებს. ბ. ბოცვაძისათვის ჩემ შენიშვნებს წერის სურვილი შთაუბერია და ივლისში ორი გრძელი ფელეტონი მიძღვნა, სადაც ამტკიცებდა ჩემი შენიშვნების უსაფუძვლობას და თავის უცოდველობას პედაგოგიაში. როდესაც შენ აზრს ერთხელვე გამოთქვამ, მაპირდაპირე კი მაინც თავისას იმეორებს, პსუსხის გაცემა სრულიად მეტია: ყოველი მწერლის მსახური მკითხველია და მამასადამე დეე თვით მკითხველმა გაარჩიოს, ვინ უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას. ამ მოსაზრებით არც მე შევაწუხებდი მკითხველს ერთი და იგივე კითხვის შესახებ სიტყვის გაბმით, რომ ბ. ბოცვაძე თავის საკუთარ პედაგოგიურ მცნებებში არ დაბნეულიყო და ივერიის ფურცლებზე კეკემაღულობის თამაში არ დაეწყო; ეს კეკემაღულობია მით უფრო სასაცილოა, რომ უცოდველი პედაგოგი მას ბავშვის ფსიხო-ფიზიოლოგიის კოდნაზე ამყარებს. სანამ ბოცვაძის უკანასკნელ ფელეტონებს წაეიკითხავედი, მე მიმაჩნდა ის ესტეტიურ-ოპტიმისტური შეხედულების პედაგოგათ, რომლის აზრითაც რიგიანმა აღმზრდელმა ბავშს მხოლოთ კარკი და ზნეობრივი სურათები და მცნებები უნდა მიაწოდოს, შეაგნებოს და სხე. ცუდი და უზნეო კი დაუმალოს, აარიდოს. ჯეჯილის შინაარსის გარ-




ჩვეის დროს ბ. ბოცვაძე ასეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, ხოლო თუ ხანდახან თავის პედაგოგიურ მცნებას დალატობდა, მხოლოდ მაშინ, როცა ვაჭაფშაველას ან აკაკის არჩევდა: ბ. ბოცვაძე ისეთ კრიტიკოსებს ეკუთვნის, რომლებს დაფასება იმაზე არის დამოკიდებული, სახელმძღვანელო მწერალს ენებიან თუ უსახელოს. მე ჩემ შენიშვნებში იმ აზრს ვადექი, რომ ბავშს მართო კარგი და ზნეობრივი კი არ უნდა მიძლიოთ, არამედ წლოვანების შესაფერაოდ ცუდი და უზნეოც უნდა გაცნოთ, მხოლოდ ისე, რომ მისი ნამდვილი მნიშვნელობა და ფასი შეიგნოს, კარგი და ზნეობრივი შეიყვაროს, უზნეო კი შეიძულოს მეთქი. თურმე ნუ იტყვი, ბოცვაძის ქართული ვერ გამოვიდა: ისიც თურმე იმას ამბობდა, რისი მომხრეც მე ვიყავი, მე კი ცილი დავწამე! აი მისი სიტყვები პირველ ფელეტონის მესამე სვეტში: I „თუ საყმაწვილო მწერლობაში, რომელსაჲ მათხრობას ან ლექსში გატარებული იქნება უზნეობაც, ცხოვრების ცუდი მხარეც, რომლებიც ბავშს ცხოვრებაში უკვე გამოუცდა, მაგრამ გატარებული იქნება სელაგნუხათ, რომ ბავშს ადვილათ შეეძლება თავისთავათ კარგის და ავის გამოცნობა, წასაკვირვებია, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვყოფილვართ და არც ვართ“.

მეც ამასვე ვეუბნებოდი ბ. ბოცვაძეს ჩემ შენიშვნებში, ერთგან კი არა რამდენიმე ალაგას. თუ მართლა ამის წინააღმდეგი არ ყოფილხართ შარშან, ბ. ბოცვაძე, როცა ჯეჯილს არჩევდით, რაღა საჭირო იყო ფელეტონების გაჭიმვა? პირდაპირ მოგვიტარიდით სიტყვას: გომართელი ჩემი სიტყვები ვერ გაგიგია, ამიტომ მეორეთ წაიკითხეთ, მორჩა და გათავდა, მაგრამ ბ. ბოცვაძე ასეთი აზრის რომ შარშან არ ყოფილა, ამის დასამტკიცებლათ რაც წინეთ ეთქვი, ისიც კმარა; რომ არც წელს არის და მხოლოდ სხვისი თვალების ასახვევით ამბობს: არ ვართ წინააღმდეგი, ამას მისი ახალი ფელეტონები დაგვიმტკიცებს. ჩვენ დაინახეთ მისი I-ლი მოსაზრება მესამე სვეტში; მეორეში კი აი რასა წერს: II „სასყმაწვილო მწერლობაში შესაძლებელია ისტუმბადეს ცხოვრების ზოგიერთი ცუდი მხარეც, მაგრამ დიდის სიფრთხილით და ისიც შესაძლებელია წლოვანების“, და III — „არც შეეძლება მატარებელი მკითხველს, იმათთვის ჩვენ უოკლებთის უმარტესობას მიგვიტოვოთ ისეთ მასწავლებელს, რომელიც იმდევს კარგ მკვლევარს, ვიდრე ცუდს“, მე IV სვეტზე — IV „იმისთანა მათხრობები, რომელშია ადვილი ცხოვრების ცუდი მხარე, გამოიწვევს ბავშვში უკეთეს კი არა უარეს სულის მოძრაობას.“ მე IV აზრადან ერთათ ერთი დასკვნა მხოლოდ ის არის, რომ ბოცვაძე წინააღმდეგია საყმაწვილო მოთხრობებში ცხოვრების ცუდი მხარის ხატვის, I-ში კი გვარწმუნებს:

არც ყოფილვართ და არც ვართ წინააღმდეგი; I-ლი მოსაზრება მე-II-ში ბოცვაძემ ძალიან შეზღუდა. მე III-ში თითქმის სრულიად გააუქმა, მე IV-ში კი სრულიად უარყო პირველში ნათქვამი: I-ის აზრი და მე IV-სი ერთი მეორის სრული წინააღმდეგია, ვინც IV-ის აზრს ემხრობა ის ვერ იტყვის მას, რაც ბოცვაძემ I-ში თქვა. ბ. ბოცვაძე კი ყველას მომხრეა, არც ერთს არ ელევა, თუმცა ბოცვაძე თითქო არც ერთ მოსაზრებას არ წუნობს, მაგრამ მე III მე უფრო მოწონს, იმიტომ რომ ის თურმე დამკვიდრებულია ბავშვების ფსიხოლოგიის მიხედვით, რის უცოდინარობაში მე მამტყუნებს. თუ კი არ ვცი, არ ვიცი, მაგრამ ვმადლობ ღმერთს, რომ გონების გასახსნელათ ბოცვაძე მომივლინა, — მან მთელი ერთი ფელეტონი მოანდომა ბავშვის ფსიხოლოგიას და აი რა ყოფილა ეს საიდუმლოება, რომლის შეგნება განგებას მართო ბოცვაძისათვის ურგუნებია: 1) ბავშვი ძლიერია მიმბაძველობა, 2) ბავშვი ცხოვრებს უმთავრესათ გრძობითი შთაბეჭდილებით და 3) ბავშვი სხვა ბევრი ფსიხოლოგიური გარემოება (ცოტა ძუნწი რომ არ იყოს, ამ ბევრ გარემოებასაც გაგვაგებებდა)! შე დალოცვილო ბოცვაძე, რა მიუწოდებელ საიდუმლოებათ მიგაჩნდათ ბავშვის მიმბაძველობა და მასში გრძობის ჭარბობა, რომ თქვენ მეტს ამის შეგნება ვერ შეეძლოს?! რადგანაც მე-III აზრის დასამტკიცებლათ ბოცვაძეს ფსიხოლოგიის და კაცობრიობის ისტორიის გადახარება დაჭირდა და კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ამბავიც ზედ დაყოლა, მე მეგონა, რომ I-ლის აზრს რომელიც მე-IV-ში უარყო, აღარ დაუბრუნებოდა, მაგრამ აი რას ამბობს პირველ ფელეტონში: „თუ ბავშვების სიტყვას აუცილებლათ საჭიროა, მათს აუცილებლათ საჭირო უნდა იყოს ისიც, რომ ცუდი მხარე რომელსაჲ მათხრობის გმირში უნდა აღინიშნოს ისე, რომ წამდენათაც ზნეობრივად დაცემული იყოს გმირი, მის ბუნებაში მანც უნდა ჩანდეს რადენიმე თუნდ სუსტი კაცობრიობა და ზნეობრივი საკეთილ“. მოდი და გაიგე ამის შემდეგ, რა აზრს ემხრობა ბ. ბოცვაძე! თუ ცუდის ხატვა საჭიროა, კარგის ხატვაც საჭიროა! თქვენ ამას კი არ გეკითხებიან, არამედ იმას: თქვენი აზრით საჭიროა თუ არა საყმაწვილო ლიტერატურაში ცუდის ხატვაც? ან ვინ მოგახსენათ ყმაწვილებისათვის საჭიროა ცრუ კლასიური გმირები, რომლებსაც, თუ ბოროტი იქნებიან, არავითარი კარგი გმირობა არ უნდა ჰქონდეთო?

ბავშვის ბუნებიდან თუ მართო მიმბაძველობას და გრძობის ჭარბობას მივიღებთ მხედველობაში, როგორც ბ. ბოცვაძე ირჯება, მაშინ, რასაკვირველია, იმ აზრს დავადგებთ, რომ ბავშვს აღმზრდელმა მარ-



ტო კარგი და ზნეობრივი უნდა შეაგნებოდა; ბავში დაიჯერებს, მიბაძავს და გაიჩარხა საქმე! ასე აღვილი რომ იყოს ბავშვის აღზრდა, მაშინ ზომი სამოთხე იქნებოდა ჩვენი დედამიწა. საქმე იმაშია რომ ბავშვის ფსიხოლოგია მარტო მიმბაძველობით, გრძნობის ჭარბობით და რალაც გარემოებებით არ განისაზღვრება. მას მემკვიდრეობით, ათასი კარგი დედამისი შეილი იყოს, გარდაცემა ბევრი მიდრეკილება და სულიერი თვისებანი, რომელთაგან დღევანდელის შეხედულებით (დღევანდელით იმიტომ რომ მომავალში, შეიძლება, სრულიად სხვა გვარათ ესმოდეთ ზნეობა ვიდრე ჩვენ გვესმის) ზოგი ზნეობრივია და კარგი, ზოგი კი ცუდი და უზნეო. ამას ვერც ბოცვაძე უარყოფს, როცა ამბობს: „ბუნებრივი ზიზღი ცუდისა ბავშვს არა აქვს“. როცა აღმზრდელი აწუდის მას მარტო ზნეობრივ გაკვეთილებს, ამით ავარჯიშებს მასში კარგ თვისებებს, ხოლო ცუდის დასახშობათ არაერთარ ზომას არ ხმარობს; მარტო ზნეობრივი გაკვეთილები კი ზომას არ შეადგენს. რამდენათაც უფრო წამოიზრდება ბავში და განვითარდება მისი ფიზიკური ორგანიზაცია, თანდათან გაღვივდება მასში ის ცუდი თვისებები, რომელთა სიცუდე და მანებლობა აღმზრდელმა მას დაუმალა, რომელთა ჩასახშობათ აღმზრდელმა შესაფერი ზომა არ მიიღო. ამ გვარათ ბავშვის მარტო სულიერი თვისებანიც რომ მივიღოთ მხედველობაში, მაშინაც ვერ გამოვიყვანთ იმ დასკვნას, როგორც გამოჰყავს ბოცვაძეს თავის ფსიხო-ფიზიოლოგიიდან. ბოცვაძის დასკვნაშიაც რომ გამოდიოდეს, საქმე კიდევ იმაშია, რომ აღზრის საქმეში მარტო ბავშვის ფსიხოლოგიის სახეში მიღება არა კმარა: აღმზრდელმა უსათუოთ მხედველობაში უნდა მიიღოს ცხოვრება, რომელიც ბავშვს გარს არტყა. რა საშაგალითოც უნდა იყოს აღმზრდელი, იმას გარდა ბავში ძალიან ბევრ პირებს ხედავს ცხოვრებაში, რომელთაგან ზოგი კარგ მაგალითს აძლევს მას, ზოგი ცუდს და უზნეოს; ბავში შთაბეჭდილებებს მარტო საყმაწვილო ლიტერატურიდან კი არ იღებს, მერე ისიც ჩვენში, არამედ უმთავრესათ ცხოვრებიდან; ამ შთაბეჭდილებებში ბევრი კარგათ მოქმედებს ბავშვი, ბევრი ავით. თვით ბ. ბოცვაძე ამბობს პირველი ფელეტონის მე-8 სვეტზე: „ბავშვისათვის ცუდი უფრო გადამდება, ვიდრე კარგია“, თვით ბოცვაძე აღიარებს, რომ „ბავშვები ხშირათ ვარდებიან არა სასურველ ვითარებათა გავლენის ქვეშ და ითვისებენ ცუდ საქციელს, არა სასურველ ჩვეულებებს“. აღმზრდელმა კი ზომები უნდა მიიღოს, რომ ბავში ცუდ გზას ააცდინოს; ამისათვის ასეთ პირობებში ორგანიზაციის გზა არის: ან ისე უნდა მოაწყუოთ ცხოვრება, რომ იქიდან ბავშვმა ვერაერთარ

უზნეო და გამკაცრელი რამ ვერ შეითვისოს, — რადგანაც ეს შეუძლებელია, მხოლოდ ისღა დარჩნია, რომ ბავშვს წლოვანების შესაფერათ ცხოვრების და აღამიანის კარგ მხარესთან ერთათ ცუდი მხარეც გააცნოთ, ამ ცუდის სიცუდე შეაგნებოთ და ამით შეძლებისადაგვარათ მისგან დაიფაროთ. ბ. ბოცვაძე განაგრძობს: „განა უგუზურება არ იქნება ვკვებოთ ბავში დამპალის საქმლით იმ აზრით, რომ გამოცდილებით გაიგოს მან ენება ამ გვარი საქმლისაო“. საკვირველი მენსიერება აქვს ბ. ბოცვაძეს: ერთ აზრს რომ იტყვის და მეორეს შეუდგება, პირველი მაშინვე აფიწყდება! როცა ამ სტრიქონებს წერდა, მას აღარ ახსოვდა თავის მიერ ცოტა ზემოთ ნათქვამი, რომ ხშირათ ბავშვს ცხოვრება რყენის. ე. ი. ბოცვაძის მხატვრული ენით რომ ვთქვათ, აღმზრდელმა ათასი საღი საქმელით კვებოს ბავში, ცხოვრება მაინც კვებავს ბავშვს დამპალი საქმლით: მაშ აღმზრდელს მეტი აღარა დარჩენიარა, რომ დაანახოს და შეაგნებოდა ბავშვს ამ დამპლის სიღამლე; ბავში ისწავლის დამპლის გამოცნობას, ხალ საზრდოთ აღარ მიიღებს და, თუკი ხსიათის სიმტკიცეც დაეხმარება, უარყოფს მას.



ივ. გამბარტელი.

(დასასრული იქნება)

მ გ რ ა ნ ი ს

ძველი და ახალი მეურნეობა.

მეურნეობა მეცნიერებას.

VI.

(დასასრული)

ყველა ზემოთ ნათქვამი საკმაოთ ვეიჩვენებს, თუ რა დიდათ განიხივეა ახლანდელი მეურნეობა ფეოდალური დროის მეურნეობისაგან. ფეოდალური დროის შემდეგ მეურნეობაში მეტათ დიდი ცვლილება მოხდა, და უმთავრესათ ეს ცვლილება ამ უკანასკნელ ხანებში შესრულდა. მხოლოდ 1840 წლიდან იწყება ლიბინის ეპოქის შემქნელი გამოკლევა, რომელიც მეორმოცდა ათე წლებში საყოველთაოთ იქნა აღსარებული. სწორეთ ამავე დროს გადავიდა ორთქლის მაშინა მეურნეობაში და ბაქტერიოლოგიამაც ამ დროს მოახდინა პირველათ მეურნეობის პრაქტიკისათვის გამოსადეგი აღმოჩენანი.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მეურნეობა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში სრულიად არაერთარ წინსვლა არ ეტყობოდა, მეტათ

რევოლუციონური წარმოება განდა. იგი თან და თან განთავისუფლდა მამებიდან შეილებზე გადმოცემული რუტინისაგან და შეიქმნა ერთი დიდი და ფართო მეცნიერება, რომლის შინაარსი და თეორიული შეხედულება (Einsicht) თან და თან ფართოვდება. მეურნე, რომელმაც ეს მეცნიერება არ იცის, რომელიც ახალ აღმოჩენებს არ იცნობს, სწორეთ რომ წყალწაღებულია, რადგან ძველებური წესი აღარ ვარგობს და მამა-პაპურათ წარმოება შეუძლებელი ხდება.

მეურნეობის თან და თან მეცნიერებათ განვითარებას ნათლათ გვიჩვენებს სამეურნეო სკოლების ისტორია, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლებისა; ამ განვითარებას გვიჩვენებს არა თუ სიდიდესაგან, სწავლებისა არამედ სასწავლებლების გარეგნული ისტორიაც ამტკიცებს მეცნიერული აგრძობის წინმავლელობას.

თერმა, რომელმაც გასული საუკუნის დამოუკიდებელი ინგლისის გაუმჯობესებული მეურნეობა შეისწავლა და მეურნეობის მეცნიერულ საფუძველზე აგებას და ახალი წესის გერმანიაში გავრცელებას მუყაითათ შეეცადა, პირველათ იცნო სამეურნეო სასწავლებლების საჭიროება. 1798 წელს მან თავის თხზულებაში „Einleitung zur Kenntniss der englischen Landwirtschaft“ „სამეურნეო აკადემიის დაარსების საჭიროება გამოაცხადა“ და რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ დააარსა ერთი ასეთი აკადემია (1802 წელს ცელსეში, ხოლო 1804 წ.—მეგლინში), რომელსაც მოკლე ხანში კიდევ სხვა აკადემიების დაარსება მოჰყვა (პირველათ ჰოენჰაიმის აკადემია, ვირტემბერგში). თითოეულ ამ სამეურნეო სასწავლებელთან სანიმუშო წარმოება იყო შეერთებული, მასთანადემ სასწავლებელი სოფელში არსებობდა. ამ გვართ შეგირდებს ცოცხალი მაგალითების ჩვენებით უხსნიდენ თეორიას. სასწავლებელთან სამაგალითო წარმოების გამართვა კი საჭირო იყო, რადგან იმ დროს რაციონალური წარმოება ძალიან იშვიათ მოვლენას შეადგენდა.

ეს შეიცვალა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევრის განმავლობაში და ცვლილებაზე თვით ხსენებულ სასწავლებლებსაც არ ჰქონია ცოტა გავლენა. მრავალ მამულებში რაციონალური, მეცნიერების თანახმათ გამართული წარმოება წარმოდგა; ამიტომ სამეურნეო სასწავლებლების მოწაფეები მართა სამაგალითო წარმოებაზე აღარ იყენ მიჩემებული: მათ შეეძლოთ, წესიერათ მოწყობილ მამულებზეც ევლოთ და მეურნეობა პრაქტიკულათ იქ შეესწავლათ.

რამდენათაც მრავლებოდა რიცხვი რაციონალურათ წარმოებულ მამულებისა, იმდენათვე ფართო

თოვლებოდა და ღრმავლებოდა სამეურნეო სწავლის საგანი იმ ცვლილებათა ზედ-გავლენით, რომლებიც, როგორც წინეთ მოვისხენით, მხანიაში, ქიშიაში, ფიზიოლოგიაში და საზოგადოთ ეკონომიურსა და საზოგადოებრივს ურთიერთობაში მოხდა. უმაღლეს სამეურნეო სწავლას თან-და-თან სხვა და სხვა მეცნიერების დარგი შეუერთდა, სხვა და სხვა მეცნიერული გამოკვლევის საშუალებანი მიემატა და ამ სახით ერთი უფრო მაღალი, უფრო განვითარებული გონებრივი ატმოსფერა შედგა; სოფლებში გამართული სასწავლებლები ევლარ აკმაყოფილებდენ სწავლების ასე გამრავლებულ მოთხოვნილებათ.

აქაც ლიბინი გზის გამკვალავი შეიქნა. ერთარცა ბავარიის სამეცნიერო აკადემიათა თავმჯდომარემ, 1861 წელს მიუნენში სადღესასწაულო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც დაჰხატა სოფლებში სამეურნეო აკადემიების არსებობის მიუხერხებლობა და მათი საუნივერსიტეტო ქალაქებში გადატანის საჭიროება დაასაბუთა. ამ აზრმა ისეთივე დიდი პოლემიკა გამოიწვია, როგორც ლიბინის თეორიამ შესახებ მიწის სიმდიდრის და მიწის დასუსტებისა. მაგრამ ორივე შემთხვევაში დიდი სწავლული გამარჯვებული გამოვიდა კამათიდან და მისი აზრი ყველგან მიღებული იქმნა. ჰოენჰაიმის გამოკვლით დღეს ყველა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები საუნივერსიტეტო ქალაქებშია მოთავსებული, და ეს არა მარტო გერმანიაში, არამედ ავსტრიაშიაც, საფრანგეთშიაც, იტალიაშიაც და სხვ. ხსენებული სასწავლებლები ან ნაწილს შეადგენენ უნივერსიტეტებისას, ან და დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებათ ითვლებიან (ბერლინში, ვენაში, პარიჟში).

ქალაქში მეურნეობის სწავლება! ეს ფაქტი ცხადათ ჰყოფს, რომ მეურნეობა ყოველ მხრივ მთლათ ქალაქისგან შეიქნა დამოკიდებული და რომ მეურნეობის წინ სელა ქალაქიდან მომდინარეობს.

მაგრამ, რასაკვირველია, მეურნე მართა უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასაცილო იქნება, მეურნეობაში ვინმემ მართა პრაქტიკით დაკმაყოფილება რომ მოინდომოს და თეორია უარჰყოს, მაგრამ ისევე სისულელე იქნება, ვინმემ რომ დაიჩემოს, —მეურნეობაში მხოლოთ თეორიაა ყველაფერი და ცდა, პრაქტიკა— არაფერიო. ისევე, როგორც მრეწველობაში, ანუ უკეთ—მრეწველობაზე კიდევ უფრო, მეურნეობაში უნდა იქნეს ცდა—პრაქტიკა და თეორია შეერთებული, რადგან ის სინამდევლე, როცა თეორია ხმარებულ უნდა იქნეს, მეურნეობაში უფრო მრავალ გვარი, უფრო რთულია, ვინემ მრეწველობაში. მეურნეობაში საჭიროა ცდა, გამოცდილების შეძენა და,

უწინარეს ყოვლისა, საქარია ამ მეტათ რთული და-
რგის ყველა ნაწილების დაწერილებით ცოდნა, რაც
მხოლოდ ნამდვილი და წესიერი ბუნებადტეკიის შემ
წვობით არის შესაძლებელი.

სამ-მინდროვანი სისტემის დროის მეურნე, რო-
მელიც უმთავრესათ თავისი საკუთარი მოთხოვნილე-
ბისთვის აწარმოებდა მეურნეობას, ბუნხალტერია სრუ-
ლებით არ საქარობდა. წარმოების ურთიერთობანი მა-
შინ თითოეულ მხარეში ერთფეროვანი იყო, ძველის ძვე-
ლთაგან გარდმოცემული, მარტივი და ადვილათ გასა-
ჭვრეტი. სულ სხვა ნაირათაა საქმე თანამედროვე მე-
ურნეობაში. აქ მეტათ ფართო, მეტათ გაწეული,
მრავალჯვარი და მუდამ ცვლადი ურთიერთობანი
არსებობს, ურთიერთობანი წარმოების და ცირკულა-
ციისა, ყიდვას და გაყიდვას. მეურნეს ყველა ეს
სხვა-და-სხვა მხარეები ერთიან აერევა, თუ დაეთრე-
ბი, თუ ბუნხალტერია არ ექნა. ახლანდელ წარმო-
ების წესში ბუნხალტერია ყოველგვარ ცრუტა მომს-
ხო წარმოებაში საქარო არის, მაგრამ მეურნეობაში
უფრო საქაროა, ვინემ მრეწველობაში. თანამედრო-
ვე მრეწველობის ერთი განსაზღვრული დარგი მხო-
ლოდ ერთგვარ საგნებს აწარმოებს, მამულში-კი
სხვა და-სხვა დარგებია შეერთებული: — საქანლას
მოშენება, ხენა თესვა, ბოსტანი, ხეხილის ბაღი, ში-
ნაური ფრინველების მოშენება და სხვ., და ყველა
ეს დარგები სხვა-და-სხვა საგნებს იძლევიან. საპრე-
წველო წარმოება ჩვეულებრივ ყველა თავს საწარ-
მოვო საშუალებას ყიდულობს და ყველა თავის ნა-
წარმოებს ჰყიდვს; მეურნეობაში კი ეს არას დროს
ასე არ ხდება; აქ მხოლოდ საწარმოვო საშუალებათა
ერთ ნაწილს ყიდულობენ, ნაწილს კი თვითონ აწარ-
მოებენ: საქანელს, საქანლის საკვებს, პატიეს, თე-
სლს, — ზოგს ყიდულობენ და ზოგსაც მამულშივე
აწარმოებენ, ქირა მუშებს რამოდენიმე ფულათ ეძ-
ლევა, რამოდენიმეც ნატურით. თანახმათ ამისა ნაწარ-
მოებთა მხოლოდ ერთი ნაწილი გააქვთ ბაზარზე გა-
საყიდათ, ნაწილი კი თვითონ წარმოებაში იხმარება.
და ბოლოს მეურნეობაში ერთი რომელიმე საწარმო-
ვო საშუალების თუ საწარმოვო მეთოდის შედეგი
ისე ადვილათ გამათვალისწინებელი არაა, როცოც
მრეწველობაში. ხან და ხან რამდენიმე წელიწადი გა-
დის, სანამ ის შედეგი მთლათ გამოაშკარავდებოდეს.
ყველა ამის გამო მეურნესთვი წესიერი, წარმოების
ყველა წერილმანების შემცვლელი, ბუნხალტერია
აუცილებლათ საქარო ხდება; ბუნხალტერია, რომე-
ლიც არა მარტო ვაჭრულ, არამედ მეცნიერულ მო-
საზრებებთანაც შეთანხმებულათ არის აგებული;
ეს იმიტომ, რომ მეურნეს არა მარტო კაპი-
ტალთან და კაპიტალის სარგებელთან აქვს საქმე,
არამედ მიწასთან და მიწის რენტასთანაც; ეს უკანას-
კნელი კი, რამდენათაც იკი დიფერენციალური რენტაა,
იმდენათ მიწის სიმდიდეზეა, დამოკიდებული; ამ
სიმდიდრის დაცვაზე, შეძლების რ გვართ ამის ვადი-
ლებაზეც თანამედროვე, წესიერათ მწარმოებელი, მე-
ურნე ისევე უნდა ზრუნავდეს, როგოც თავისი კა-
პიტალისგან მეტი სარგებლის მიღებაზე.

იქნება თანამედროვე მეურნეობას ისე
არათერო არ ახასიათებდის, როგოც ვაჭრულსა და
მეცნიერულ მოსაზრებებზე აგებული ბუნხალტერია.
მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმის („გეშეუთის“)
მჭიდროდ შეკავშირება, რომელიც თანამედროვე
წარმოების წესსა თვისებას შეადგენს, ისე ნათლათ
არსად არა ჩანს, როგოც მეურნეობაში. მეურნეობა
ერთათ-ერთი დარგია, რომლის ბუნხალტერიასაც ას-
წავლიან უნივერსიტეტებში.

ფ. პატრიშვილი.

პასუხათ თ. ნ. ყ. თავდგირიძეს.

მზურგეთის დემოკრატი ძალიან შემოგწყრა
ჩენი შენიშვნისათვის (ივ. № 174), რომელშიაც
მისი ახალი „მოღვაწეობა“ გამოვაშკარავეთ და არც
ამ ერთი შემთხვევით დაკმაყოფილდა: ის საზოგადოთ
შეჩივის მკითხველ. საზოგადოებას, თუ რა უსამართ-
ლოდ ეპყრობა მას ჩენი გაზეთი; შეგვატყობინა
ისიც, რომ იგი საქმის კაცია, და ჩენთან საბაასო
დრო ვერ უშოენია—ღმერთმან ხელი მოუშართოს!

დღეს ჩენ მხოლოდ უკანასკნელ შენიშვნაზე
გავცემთ პასუხს, 1) დანარჩენი მკითხველი საზოგა-
დობისთვის მიგვიღვია, რამდენათ სამართლიანი
იყო ჩენი შენიშვნები. უკანასკნელ ბრალდების ასა-
ცილებლათ, ჯერ ოფიციალურ დოკუმენტებს გვთ-
ხოვს, და მართლაც დაგვაფიქრებდა, ამ ნიადაგზე რომ
შეჩერებულყო, მარა მისდა სამწუხაროთ იგი გაიტა-
ცა ჩვეულებრივმა მრავალ სიტყვაობამ და გაიძახის:
არა თუ არ მიცდია, ანც მომსგლას აზრათ უფლების
შემცირებოა: რამდენათ მართალია თ. თავდგირიძის
ასეთი რიხით წამოსროლილი სიტყვები, ამის შე-
სახებ ჩენ შევეკითხებით ბ. ბ. ვლადიმერ და ნიკოფი-
რე კანდელაკოთ, ამათ დაგვიმოწმონ თავისი სენდი-
სისა და პატიოსნების მიხედვით და ჩენც დავემოწ-
მილებით..

ხოლო რაც შეეხება თავად მოურავისაგან ასე-
თი „კდის“ შეუძლებლობას, ამის დასამტკიცებლათ
მისვე სიტყვები კმარა: მე არ ვცდილვარ „ჯერ-ჯერო-
ბით, მადლობა ღმერთს, არავითარი უთანხმოება-გან-
ხეიქილება არ არსებობს ოზურგეთის საზოგადოება-
ში“-ო; ergo, თუ განხეიქილება ჩამოვარდა, მაშინ
კი მიმართავს ურულებას შემტყუბას!.. ვაშა! ვაშა! დე-
მოკრატო-პროგრესისტო!

ქუთათუჩი კორესპონდენტი.

1) ორისა და ასი მანეთის შესახებ ისილე „გგლი“
№ 32 შეცდომის გასწორება და მეტე იმსხვილე თ—დო
თავდგირიძეს!

ქრედაქორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.